საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/36

ქ. ბათუმი 01 მაისი, 2019 წ.

ბსუ-ს ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო სააპელაციო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანებით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივ დეპარტამენტში საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) **ადამ მახარაძე** - პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2) **რევაზ დიასამიძე** - ასოცირებული პროფესორი, წევრი;
3) **არმაზ კახიძე** - ასისტენტი, კომისიის მდივანი.

2. საკონკურსო სააპელაციო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2019 წლის 6 მაისიდან 9 მაისის ჩათვლით.**

3. *უფლებამოსილების განხორციელებისას კომისიამ იხელმძღვანელოს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით, ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანებითა *და წინამდებარე დადგენილებით.*

4. *წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს,* იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტ*სა და საკონკურსო კომისიის წევრებს.*

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**